07/07/2020

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

ა.წ. 6 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი პიტერ სიიარტო, უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ქ-ნი ვიქტორია ჰორვატი და მათი თანმხლები პირები მიიღო.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო უნგრეთსა და საქართველოს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნა, რომ საქართველო უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა და ჩვენი ხალხი დღემდე ერთგულად იცავს ქრისტიანულ ფასეულობებს. მან ასევე მადლობა გადაუხადა სტუმარს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის უნგრეთის მხრიდან გაწეული დახმარების გამო.

საპასუხოდ სტუმარმა ბრძანა: ,,თქვენო უწმინდესობავ, დიდ მადლობას მოგახსენებთ რომ მოგვეცა თქვენთან შეხვედრის შესაძლებლობა, უღრმესი მადლობა.

ეს შეხვედრა პირადად ჩემთვის, ისევე როგორც ჩემი დელეგაციის თითოეული წევრისთვის, ასევე უნგრეთის სახელმწიფოსთვის არის ძალიან დიდი პატივი. ეს მიღება ერთადერთი მიზნით ვითხოვეთ, რომ გამოგვეხატა ჩვენი და მთელი უნგრეთის ღრმა პატივისცემა პირადად თქვენს მიმართ და თქვენი ეკლესიის მიმართ.

მე აქ ვარ წარმომადგენელი როგორც ნამდვილი, ჭეშმარიტი ქრისტიანული ქვეყნისა და ჩვენ ძალიან ვამაყობთ, რომ ჩვენი ქვეყნის მფარველობა ათასი წლის წინ ღვთისმშობელს შეავედრეს. შეიძლება ათასი წელი დიდი დროა ევროპული პერსპექტივით, მაგრამ მე ვიცი, რომ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ იმ ქვეყანაში ათასი წლის ხსენებისას, რომლის ეკლესიაც ორი ათასი წლის წინ დააარსა ანდრია მოციქულმა.

მე მინდა გაცნობოთ, რომ უნგრეთის ხელისუფლება და მთავრობა წამოადგენს ნამდვილად ქრისტიანულ მთავრობას და ცდილობენ გაატარონ პოლიტიკა სწორედ ქრისტიანულ ფასეულობებზე დაფუძნებით. ჩვენ ღრმად გვწამს რომ მადლი მოდის ძალისხმევის და შრომისგან. ჩვენ ვიღვწით, რომ მივიღოთ მადლი.

ჩვენ ასევე ღრმად გვწამს, რომ საზოგადოების ჭეშმარიტ საძირკველს სწორედ ოჯახი წარმოადგენს. სადაც მშობლები – მამა და დედა უზრუნველყოფენ ჯანსაღ გარემოს, იდეალურ გარემოს შვილის აღსაზრდელად. ჩვენ როგორც მთავრობა ჩვენს მოვალეობად მივიჩნევთ, რომ ქრისტიანულ თემებს მხარდაჭერა გამოვუცხადოთ მთელი მსოფლიო მასშტაბით.

თქვენო უწმინდესობავ, ჩვენ გვჯერა რომ სამწუხაროდ ქრისტიანობა არის სწორედ ის სარწმუნოება რომელსაც ყველაზე მეტად სდევნიდნენ და სდევნიან სამყაროში. სწორედ ამიტომ ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ჩვენი ვალია ქრისტიანები ერთად დავდგეთ თითოეული ქრისტიანის მხარდასაჭერად, რომელიც განსაცდელშია მსოფლიოში.

თქვენო უწმინდესობავ, ჩემთვის დიდი პატივია გაცნობოთ იმ პროგრამაზე რომელსაც ჰქვია ,,უნგრეთი ეხმარება". კონკრეტულად ამ პროგრამის ფარგლებში ვცდილობთ დახმარება აღმოვუჩინოთ ახლო აღმოსავლეთში მცხოვრებ ქრისტიანებს რომლებიც დიდ განსაცდელში არიან რათა იცხოვრონ იმ მიწაზე სადაც მათი წინაპრები ათასობით წლის მანძილზე დასახლდნენ და ცხოვრობდნენ. და თქვენო უწმინდესობავ ჩემთვის დიდი პატივია რომ მე ვარ ის წარმომადგენელი უნგრეთის სახელმწიფოსი რომელმაც ხელი მოაწერა საქართველოს ეკლესიასთან სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამას შეთანხმებას და ჩემთვის ძალიან სასიხარულოა რომ ეს პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს. მინდა გაცნობოთ, რომ ჩვენთვის დიდი პატივი იქნება თქვენთან ახალი თანამშრომლობის დაწყება ნებისმიერი მიმართულებით".

გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ აღნიშნა, რომ საქართველოსა და უნგრეთს შორის არსებული ხანგრძლივი მეგობრობის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ უნგრეთში არის დადიანების მიერ აგებული ტაძარი.

შეხვედრის დასასრულს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დალოცა სტუმრები და უნგრეთის სახელმწიფო და მათ შემდგომი წინსვლა და ქრისტიანული ფასეულობების განმტკიცება უსურვა.

patriarchate.ge